ქ. თბილისი 30 მარტი 2024 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ააიპ “საქველმოქმედო ფონდი საკვების ბანკი” (ს/ნ 404572440)-ს ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ინდივიდუალურმა სერტიფიცირებულმა აუდიტორმა თეიმურაზ კომლაძემ (რეგისტრირებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის საიტზე SARAS.GOV.GE, სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-548742), თანახმად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “საქველმოქმედო ფონდი საკვების ბანკი”-სთან 2024 წლის 01 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებისა, მოხავდინე აიპ “საქველმოქმედო ფონდი საკვების ბანკი”-ს ფინანსური და საგადასახადო აუდიტი, რომელიც მოიცავს პერიოდს 2023 წლის 1 ინვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

აუდიტის დროს შევამოწმე რამდენად სწორად არის შედგენილი ააიპ “საქველმოქმედო ფონდი საკვების ბანკი”-ს ფინანსური ანგარიშგება. აუდიტი ჩავუტარეთ აგრეთვე მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ინფორმაციის) სისწორეზე პასუხისმგებელია აიპ “საქველმოქმედო ფონდი საკვების ბანკი”-ს ხელმძღვანელობა, მე კი მევალება ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვხატო მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცე დასკვნა.

აუდიტს წარვმართავდი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური გაანგარიშება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი

ინდივიდუალური აუდიტორი “თეიმურაზ კომლაძე”, ტ: 593 19 87 19;
E-mail: TEMURIKOMLADZE@YAHOO.COM

ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად.

გვჯერა, რომ ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩემი აზრით, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს აიპ-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშო პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

აუდიტორული დასკვნა შედგენილია ორ თანაბარი ძალის ეგზემპლიარად, ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა აიპ "საქველმოქმედო ფონდი საკვების ბანკი"-ს ხელმძღვანელობას, ხოლო მეორე რჩება ინდივიდუალურ აუდიტორს.

ინდივიდუალური
აუდიტორი: /თეიმურაზ კომლაძე/

ინდივიდუალური აუდიტორი "თეიმურაზ კომლაძე", ტ: 593 19 87 19;
E-mail: TEMURIKOMLADZE@YAHOO.COM